

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო  
მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 67

ქ. ბათუმი

„ 30 “ „დეკემბერი“ 2021 წ.

სხდომას  
ხელმძღვანელობდა:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ----- ნუკრი დეკანაძე

სხდომას ესწრებოდნენ  
საკონკურსო კომისიის  
წევრები:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ----- რამაზ მამულაძე

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების უფროსი ----- ვახტანგ გედენიძე

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ----- კახა დიასამიძე.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ, 2021 წლის 17 დეკემბრის „ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობაზე შიდა კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პირობების შესახებ“ № ბ 14.142135111 ბრძანებისა და საკონკურსო კომისიის 17.12.2021-ის აპრილის № 65 სხდომის ოქმის შესაბამისად, მერიის საკონკურსო კომისია იხილავს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს.

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული შიდა კონკურსის მეორე და მესამე ეტაპის (30.12.2021) - ზეპირი დავალება / გასაუბრება შედეგების ცნობად მიღება და დამტკიცება.

2. კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით გამარჯვებულის გამოვლენა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია მიმდინარე წლის 30 დეკემბერს ჩატარებული, კონკურსის მეორე და მესამე ეტაპის - ზეპირი დავალება/გასაუბრების შედეგების შესახებ, რის საფუძველზეც დგინდება რომ, შიდა კონკურსში მონაწილე 1 კანდიდატიდან (განაცხადიდან), გამოცხადდა 1 კანდიდატი (განაცხადი).

კონკურსანტის თანხმობით (სურვილით), კონკურსის მეორე/მესამე ეტაპის - ზეპირი დავალება /გასაუბრების პროცესის ვიდეო/აუდიო ჩაწერა არ მიმდინარეობდა.

კომისიამ დაადგინა:

- 1. ცნობად იქნეს მიღებული და დამტკიცდეს 17.12.2021 წლის № 8 14.142135111 ბრძანებით გათვალისწინებული თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული შიდა კონკურსის მეორე და მესამე ეტაპის - ზეპირი დავალება/გასაუბრება შედეგები, რის შედეგადაც გამარჯვებულად გამოვლინდა ცხრილში მოცემული კანდიდატი (განაცხადი):

კონკურსანტის მონაცემები		
№	პირადი ნომერი	შემაჯამებელი
1	61004062950	გამარჯვებული


2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) კანდიდატი, რომელმაც შიდა კონკურსის მეორე და მესამე ეტაპი (ზეპირი დავალება /გასაუბრება) წარმატებულად გადალახა და კონკურსის საბოლოო შედეგებით გამოვლინდა გამარჯვებულად, შედეგები ეცნობოს მის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით, წინამდებარე ოქმის ოფიციალურად ძალაში შესვლისა და გამოქვეყნების შემდგომ.


ბ) კანდიდატთა ინფორმირების მიზნით კომისიის გადაწყვეტილება - კომისიის სხდომის ოქმი განთავსდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.batumi.ge](http://www.batumi.ge).

3. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები და შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომისიის თავმჯდომარე:  ნუსკრი დეკანაძე

კომისიის წევრები:  რამაზ მამულაძე

3.  გაბტანგ გედენიძე

 ვაბა დიასამიძე